



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№9

2025 წელი; 30 იანვარი 11:00 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
მარიამ გრიგოლიშვილი
ცოტნე ჩიქვინიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ავთანდილ ცინცაძე
ზურაბ ჩიკვილაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
გიორგი გვენეტაძე

მოწვეული პირები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. **თამარ ბერუაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
5. **გიორგი კობიაშვილი** - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
6. **ნინო ბაგაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე



დღის წესრიგი

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის № 5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი;**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის № 52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიუ გლდანის“ (ს/ნ: 405653859) გათავისუფლების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტურებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/ვ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრს“ (ს/ნ: 404977325) შორის გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“



შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს “ზრბ სოლარს“ (ს.კ.: 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების და შპს “ზრბ სოლარის“ (ს.კ.: 404746673) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

10. „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის №344 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

11. „ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

12. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე კომერციული ფართი N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008.01.02.002) და ბინა N9-ის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

13. „ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

14. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

15. „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.03.035.570) არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიერა ჯგუფისთვის“ (ს/ნ: 405410648) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**



16. „ქ. თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.061.039) 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კახაბერ გზირიშვილისთვის (პ/ნ: 01002011178) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
17. „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N3-ში არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.030.016) ნინო ბალაშვილისთვის (პ/ნ: 01030032630) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
18. „ქალაქ თბილისში, ჭოველიძის ქუჩა (ყოფილი ბელინსკი) N19-ის მიმდებარედ 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.02.016.037) პირდაპირი განკარგვის წესით, ლევან ჩერქეზიშვილისთვის (პ/ნ: 01018003299) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
19. „ქალაქ თბილისში, ოთარ თავთაქიშვილის ქუჩა N5-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.004.501) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სავარასთვის“ (ს/ნ 405798793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
20. „ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N29-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.022) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ჯიქიძისთვის (პ/ნ 01025010458) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
21. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნიკო კეცხოველის N58-ში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.560) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
22. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.719, ფართობი - 9 354 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
23. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.011, ფართობი - 6988 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
24. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.812; ფართობი - 659



კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

25. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 აგვისტოს N373 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

26. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

27. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ონიანის ქუჩა, N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.047.017, ფართობი: 1242 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

28. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N113-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.009.026, ფართობი: 14 123 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

29. „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: N01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.



მოისმინეს:

1. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2026 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების ნაწილის 273 860,1 ათასი ლარის (მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში 2025 წელს ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული ნაშთი - 2 095,6 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება გრანტების ნაწილში სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 22 560,0 ათასი ლარით (მათ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000,0 ათასი ლარით (საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი), ხოლო თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 17 560,0 ათასი ლარით (საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს 2026 წლის 8 იანვრის MRD N01/18 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება ჯამში 296 420,1 ათასი ლარით და შეადგენს 2 506 978,3 ათას ლარს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 13 490,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 572,8 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 800,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 1 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) – 1 200,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 1 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) – 1 130,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 6 000,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 23 800,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 18 000,0 ათასი ლარით, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) – 1 300,0 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01 01) – 15 847,0 ათასი ლარით, სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა (კოდი 02 01 02) - 1 491,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნებები - 8 937,0 ათასი ლარით, საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 350,0 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) – 2 000,0



ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 5 752,0 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) - 610,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 387,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 1 539,8 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 1 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 1 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 1 240,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) - 3 069,1 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 2 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 3 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 1 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 2 045,7 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 1 200,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 35 597,4 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) - 17 953,2 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 1 536,7 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 4 330,0 ათასი ლარით, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 235,2 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - 2 234,1 ათასი ლარით, სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა (კოდი 03 04 01) - 800,0 ათასი ლარით, ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 03) - 6 606,5 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 349,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 411,3 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 1 800,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) - 1 700,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 700,0 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) - 3 000,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 385,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) - 190,5 ათასი ლარით, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) - 294,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) - 241,7 ათასი ლარით, სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) - 821,1 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) - 2 000,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავმჯდომარის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) - 915,4 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 27 854,2 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) - 3 400,0 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 07 02 05) - 17 560,0 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე



ინფრასტრუქტურული სამუშაოები გლდანის რაიონში (კოდი 07 02 06 01) – 284,0 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაძალადევის რაიონში (კოდი 07 02 06 02) – 261,3 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დიდუბის რაიონში (კოდი 07 02 06 03) – 200,9 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 07 02 06 04) – 159,1 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში (კოდი 07 02 06 05) – 147,7 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბურთალოს რაიონში (კოდი 07 02 06 06) – 221,0 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ისნის რაიონში (კოდი 07 02 06 07) – 238,6 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები სამგორის რაიონში (კოდი 07 02 06 08) – 276,0 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები კრწანისის რაიონში (კოდი 07 02 06 09) – 113,6 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთაწმინდის რაიონში (კოდი 07 02 06 10) – 193,2 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 300,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 778,4 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 1 500,0 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 2 170,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 4 000,0 ათასი ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 2 200,5 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 5 300,8 ათასი ლარით, დიდმის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა (კოდი 08 06 09) – 1 800,0 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 432,7 ათასი ლარით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნებები - 3 361,5 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 30,0 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 181,8 ათასი ლარით, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 300,0 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 143,2 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 36,8 ათასი ლარით, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 254,6 ათასი ლარით, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 209,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 90,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 58,6 ათასი ლარით.

გაიოზ თალაკვაძემ აქვე ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი პროგრამა - კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული სახლების გამოსყიდვა (კოდი 02 13) - 10 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

მომხსენებლისვე მითითებით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ფარგლებში, იზრდება სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 28 ერთეულით, ხოლო მცირდება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა - 5 ერთეულით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) - მომუშავეთა რიცხოვნობა - 1 ერთეულით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) ქვეპროგრამის



ფარგლებში ა(ა)იპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა - 10 ერთეულით, შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 12 ერთეულით და განისაზღვრა 4963 ერთეულით.

მომხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 215 948,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 291 029,6 ათასი ლარით. ამასთანავე, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 145 948,7 ათასი ლარის ოდენობით, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 506 978,3 ათასი ლარით, ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 39 670,9 ათას ლარს, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 251 358,7 ათასი ლარით. **მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველ მუხლში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის და პირობების (შემდგომში - „წესი“) დამტკიცებას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილების ფარგლებში, რომელსაც განსახილველი პროექტი ითვალისწინებს, **“საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს” დაემატა 268² მუხლი,** რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის წესი.

სერგო ბირკაძის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის მიზანია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე/საჯარიმო ქვითარზე/დადგენილებაზე წარდგენილი



ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დროულად გაცნობისათვის სათანადო პირობების შექმნა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის პრევენცია.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, რომ წესის პირველ მუხლში ასახულია წესის ზოგადი დებულებები, წესის საფუძველი, მიზანი, რეგულირების სფერო. მე-2 მუხლი კი ეთმობა ტერმინთა განმარტებებს.

მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა წესის მე-3 მუხლზე, სადაც ასახულია გადაწყვეტილების გაცნობასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, აღნიშნულია რომ სამართალდამრღვევისათვის გადაწყვეტილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, პირადად გადაცემით ან ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ მისამართზე.

სერგო ბირკაძის მიერ ასევე დაზუსტდა, რომ ოფიციალური გაცნობის მიზნით გადაწყვეტილების პირადად გადაცემას ან გაგზავნას ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ მისამართზე უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური. მას ამისათვის ეძლევა გონივრული ვადა, გადაწყვეტილების გამოცემიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღე.

მომხსენებლის მიერ ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ზემოაღნიშნული მუხლი, კანონიდან გამომდინარე ასევე აზუსტებს, რომ გადაწყვეტილება სამართალდამრღვევისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ ეს პირი ან ამ პირის მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი ჩაიბარებს გზავნილს, ხოლო თუ აღნიშნული პირი ან ამ პირის მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრი უარს განაცხადებს გზავნილის ჩაბარებაზე, გზავნილის მიმტანი უფლებამოსილი პირი გზავნილზე სათანადო აღნიშვნას აკეთებს და ეს ჩაბარებად მიიჩნევა. ხოლო თუ გადაწყვეტილების ჩაბარება ამ გზით ვერ მოხერხდა ან მისი გაგზავნა შეუძლებელია, აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი ჩაბარებულად და შესაბამისად გაცნობად მიიჩნევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

სერგო ბირკაძემ ასევე ისაუბრა გადაწყვეტილების ოფიციალური გამოქვეყნების წესსა და ვადებზე, ასევე დასძინა, რომ მნიშვნელოვანია, ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებული უნდა იყოს არანაკლებ 7 თვის განმავლობაში.

მომხსენების მიწურულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან. ასევე, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე. ხოლო დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



3. თამარ ბერუაშვილი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის წესში“ ცვლილების შეტანას.

თამარ ბერუაშვილის განმარტებით, ცვლილება შედის წესის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში. და ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

„1. მიმწოდებელი, განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული სარეგისტრაციო განაცხადით, უნდა ეთანხმებოდეს ვაუჩერის პირობებს და დადგენილი წესით, წერილობით უდასტურებდეს განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს.“

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ცვლილება შედის ასევე, წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტშიც, რომლის მოქმედი რედაქციის მიხედვით, გაწეული მომსახურებისათვის თანხის მისაღებად მიმწოდებელი განმახორციელებელს წარუდგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციას ფაქტობრივად გაწეული საათობრივი მომსახურების შესახებ, საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 8 რიცხვამდე. კერძოდ, ქვეპროგრამაში მიმწოდებლად ჩართული დაწესებულებები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 8 რიცხვამდე წარუდგენენ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

თამარ ბერუაშვილი, მოხსენების ფარგლებში ისაუბრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 30 იანვრის №1/ნ ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, არაუგვიანეს მომსახურების გაწევის მომდევნო თვის 10 რიცხვის ჩათვლით წარუდგენს სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილ, დათარიღებულ და ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტს, რომელშიც ასახულია ორგანიზაცი(ებ)ის მიერ მომსახურების მიღების თვეში შესაბამისი მომსახურებით სარგებლობის მონაცემები.

ამასთანავე მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ წესის მე-10 მუხლის მიხედვით, შესრულების კონტროლი ხორციელდება განმახორციელებლის პროგრამების მონიტორინგის განყოფილების მიერ, წინასწარ შერჩეული შემთხვევების ინსპექტირების გზით, სატელეფონო კომუნიკაციის ან საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ვიზიტის განხორციელების საშუალებით. შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელებისთვის საჭიროა გარკვეული პერიოდი, რაც ართულებს სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში შესრულების კონტროლის შემდგომი შედეგების გადაგზავნას სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია მიმწოდებელთა მიერ საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარმოდგენა დასრულდეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, რათა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მონიტორინგის განყოფილებამ შეძლოს მონიტორინგის განხორციელება და სამსახურმა შეუფერხებლად უზრუნველყოს სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის



მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის შესაბამისი დოკუმენტაციის გადაგზავნა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები შეიცვალოს არაბული ნუმერაციით.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოთხე საკითხად **განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს:

- **ცვლილების შეტანას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს“ შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 22 იანვრის განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად;
- თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.1 და 3.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ნიუ გლდანის“ გათავისუფლების საკითხზე.

გიორგი კობიაშვილის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების (მასში შესული ცვლილების გათვალისწინებით) 3.4. პუნქტის თანახმად, კომპანია ვალდებული იყო იმ შენობა-ნაგებობ(ებ)ის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება, სადაც განთავსდება გადასაცემი ფართი, უზრუნველყო არაუგვიანეს 2025 წლის 7 (შვიდი) ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.



როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<https://tas.ge/>) განთავსებული ინფორმაციის თანახმად დადგინდა, რომ კომპანიამ ზემოაღნიშნული ვალდებულება შეასრულა 2025 წლის 9 ოქტომბერს, ნაცვლად 2025 წლის 7 ოქტომბრისა. შესაბამისად, ვინაიდან დარღვეულ იქნა ხელშეკრულების 3.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. ქვეპუნქტის თანახმად, კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო წარმოდგენილი საბანკო გარანტიის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის ჯამური ოდენობაც 2025 წლის 9 ოქტომბრის ჩათვლით (2-დღიანი ვადაგადაცილება) შეადგენს 16 000 ლარს.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ასევე ხელშეკრულების 3.1. პუნქტზე, რომლის შესაბამისად, კომპანია ვალდებული იყო ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრების უფლება გადაეცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში. კომპანიის მიერ აღნიშნული ვალდებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ შესრულდა. შესაბამისად, ვინაიდან დაირღვა ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. ქვეპუნქტის თანახმად, კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო წარმოდგენილი საბანკო გარანტიის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (ყოველდღიურად 8000 ლარის ოდენობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 22 იანვრის განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე).

გიორგი კობიაშვილის მითითებით, კომპანიის მიერ წარმოდგენილი წერილობითი განმარტების თანახმად, ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევა განპირობებულია კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილ(ებ)ების მიღების ვადის გახანგრძლივების მიზეზით. შესაბამისად, კომპანიამ ითხოვა ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიება და ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ცვლილება; კერძოდ, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში (ნაცვლად ხელშეკრულებით განსაზღვრული 3 (სამი) თვის ვადისა), ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, კოოპერატივების წევრებს გადასცეს საკუთრების უფლება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, ასევე წარდგენილ იქნა კოოპერატივის წევრების მიერ შექმნილი ამხანაგობა „ნიუ გლდანის“ წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებაში განსახორციელებელ ზემოაღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით.

მომხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების სათაურსა და განკარგულების სამართლებრივი საფუძვლების გამართულობაზე, ასევე განკარგულების პირველი და მეორე პუნქტის რედაქციულ ცვლილებასა და მესამე პუნქტში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გამოსწორებაზე, რაც გაზიარებული იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:



განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების შეტანას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფითალს“ შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებულ **„ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 103443 კვ.მ. და 15 720 კვ.მ. საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 22 იანვრის განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.6. პუნქტის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია, ქონების მიმღები პირებისთვის გადასაცემი შესაბამისი საცხოვრებელი ფართების (შესაბამისი შენობა-ნაგებობების) მშენებლობის სრულად დასრულება (ე.წ. თეთრი კარკასის მდგომარეობით) და ფაქტობრივ მფლობელობასა და საკუთრებაში გადაცემა უზრუნველყოს პირველი ლოტის მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 30 (ოცდაათი) თვის ვადაში (2026 წლის 24 თებერვალი), მაგრამ არაუგვიანეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან 33 (ოცდაცამეტი) თვისა (2026 წლის 19 თებერვალი).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კომპანიამ მოითხოვა ხელშეკრულების 3.6 პუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის განხორციელების 30-თვიანი ვადის 12 თვით გაზრდა (42 თვე) და განაშენიანების რეგულირების გეგმის თაობაზე ჩანაწერის ამოღება, მეტი სიცხადისთვის. კომპანიის წერილობითი განმარტების თანახმად, საპროექტო ტერიტორია ხასიათდება საკმაოდ რთული რელიეფით, ამდენად, მისი გასწორება/გამაგრების სამუშაოებმა დამატებით გამოიწვია სამშენებლო სამუშაოების გახანგრძლივება. გარდა ამისა, კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილი (ფართობი - 659 კვ.მ.) 2021 წლის სექტემბრიდან (ობიექტის პრივატიზების შემდგომ) თვითნებურად დაიკავა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ და მასზე თვითნებურად ააშენა 3 ერთეული ნაგებობა. 2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის მაისის ჩათვლით კომპანია მოლაპარაკებას აწარმოებდა აღნიშნულ მოქალაქესთან და მის ოჯახთან, რათა მომხდარიყო კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული ნაგებობების დემონტაჟი და კომპანიას შეძლებოდა პროექტის განხორციელება. საბოლოოდ, მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა სამშენებლო პროცესების აქტიურად დაწყება, თუმცა აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა სამუშაოების წარმოების ვადის დამატებით გახანგრძლივება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, ასევე წარდგენილ იქნა კოოპერატივის წევრების მიერ შექმნილი ამხანაგობა „ნაფეტვრები 2021“-ის წერილობითი



თანხმობა ხელშეკრულებაში განსახორციელებელ ზემოაღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით.

მოხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვას:

ინო ვარდოსანიძემ ისაუბრა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პრეამბულისა და სამართლებრივი საფუძვლების რედაქტირება, ასევე რედაქციული ცვლილებების საჭიროებაზე ისაუბრა განკარგულების პირველ და მეორე პუნქტთან მიმართებით, რაც გაზიარებული იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

6. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეექვსე საკითხად **განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრს“ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე დავის მორიგებით დასრულების მიზნით გასაფორმებელი მორიგების აქტის მოწონებას, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართის შესაბამისად და თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის, „ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის №4 საოჯახო მედიცინის ცენტრის“ წილის 100%-ის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე“ 2013 წლის 6 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ნაწილისგან შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის“ გათავისუფლების საკითხზე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართით გათვალისწინებული მორიგების აქტის პირობების შესაბამისად, იმ პირობით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე №2/7241-23 საქმეზე წარმოება შეწყდება აღნიშნული მორიგების აქტის შესაბამისად, მხარეებს შორის მორიგებით.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 4.1.1. და 4.1.2 ქვეპუნქტების შესაბამისად, შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრმა“ (შემდგომში - „მმართველი კომპანია“) იკისრა ვალდებულება, წილი ემართა კეთილსინდისიერად და უზრუნველყო საზოგადოების თანამედროვე სამედიცინო დაწესებულებად ჩამოყალიბება, კერძოდ, მართვის უფლების გადასვლის დღიდან პირველი 5 (ხუთი) წლის ვადაში განხორციელებინა არანაკლებ 800 000 ლარის ინვესტიცია და ამ ინვესტიციით უზრუნველყო მოქმედი კანონმდებლობის და თანამედროვე სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად, ქ.



თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვაზისუბნის IV მ/რ, I კვარტალში მდებარე შენობა-ნაგებობის ავარიული ფლიგელის გამაგრება, ცენტრის კეთილმოწყობა და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო აპარატურით უზრუნველყოფა, სამუშაო პირობებისა და შრომითი ანაზღაურების გაუმჯობესება. ამასთანავე, ინვესტიციის თანხა არ მოიცავდა მიმდინარე მოვლა-პატრონობის ხარჯებს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2017-2022 წლებში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, მმართველ კომპანიას, არაერთგზის ეთხოვა წერილობით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების, მათ შორის, საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის/დასკვნის წარმოდგენა, წერილებში მითითებულ ვადებში. თუმცა, აღნიშნულ მოთხოვნებს მმართველი კომპანიის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

გიორგი კობიაშვილმა აქვე დასძინა, რომ მმართველი კომპანიის მიერ 2020 წლის 4 ივნისს, განსაზღვრული ვადების დარღვევით წარმოდგენილი იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 19 ოქტომბრის №007284919 დასკვნა, რომლითაც არ დადასტურდა ხელშეკრულების 4.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების ჯეროვნად შესრულება. შესაბამისად, ვინაიდან, მმართველი კომპანიის მიერ ვალდებულებები არ შესრულდა ან რიგ შემთხვევაში არაჯეროვნად შესრულდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში საქმე №2/7241-23, სადაც დავის საგანია მმართველი კომპანიისთვის მუნიციპალიტეტის (ბიუჯეტის) სასარგებლოდ მთელი რიგი ფინანსური ვალდებულებების შესრულების დაკისრება.

მომხსენებლის მითითებით, 2025 წლის 24 ოქტომბერს შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის“ დირექტორმა შოთა ჭედიამ განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და აღნიშნა, რომ მმართველმა კომპანიამ გამოთქვა მზაობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე დავის (საქმე №2/7241-23) მორიგებით დასრულებასა და 250 000 ლარის გადახდაზე, საიდანაც დაიფარება გადასახდელი წილის მართვის საფასური (85 705.58 ლარი) და 2012-2013წ. დივიდენდი (46 035 ლარი), ხოლო დარჩენილი თანხა მიემართება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდაზე.

მომხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ წილის მართვის საფასურის გადაუხდელობის/სხვადასხვა პერიოდში გადახდის ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება ხდებოდა 2016 წლიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია 2023 წელს, აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნების უმეტესი ნაწილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულია (გასულია მოთხოვნის 3-წლიანი ვადა). ასევე, ხანდაზმულია სასარჩელო მოთხოვნები საზოგადოების მიერ ეკონომიკური აქტივობის შედეგად მიღებული მოგებიდან 2012-2013 წლებში მესაკუთრისთვის გადასახდელი დივიდენდის 46 035 ლარისა და მისი გადაუხდელობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში. ხოლო რაც შეეხება წილის მართვის ხელშეკრულების 4.1.1. და 4.1.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ მმართველი კომპანიის მიერ ინფორმაციის წარმოდგენლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხს, სასარჩელო მოთხოვნა გარკვეულ ნაწილში მოცემულ შემთხვევაშიც ხანდაზმულია. ამასთანავე გასათვალისწინებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს შესაძლებლობა პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, რაც წარმოადგენს სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას. შესაბამისად, განკარგულების დანართით გათვალისწინებული მორიგების პირობები სრულიად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლოს პრაქტიკას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინტერესებს.



აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის მეორე მუხლი დაექვემდებაროს რედაქციულ ცვლილებას, რაც გაზიარებული იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების შეტანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ და თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულების“ საფუძველზე დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ქართლიენერჯის“ გათავისუფლების საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

მომხსენებელმა ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ ხელშეკრულების შესახებ, რომლის მიხედვითაც მოიჯარეს 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცა 66 ერთეული უძრავი ქონება. ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს საიჯარო ქონებაზე (თითოეულ მიწის ნაკვეთზე) არანაკლებ 30 (ოცდაათი) კვტ. დადგმულ სიმძლავრეზე გათვლილი ელექტრომობილის დასამუხტი ჭკვიანი აპარატის (შემდგომში: დამტენი) განთავსება, მომხმარებლისათვის შესაბამისი სერვისის მიწოდების მიზნით.

გიორგი კობიაშვილმა აღნიშნა, რომ კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის: უზრუნველყო ყოველწლიური საიჯარო ქირის 501 306.80 ლარის გადახდა, თანაბარწილად ყოველ სამ თვეში ერთხელ პერიოდულობით.

მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ კომპანიას არაუგვიანეს 2025 წლის 19 ივნისისა უნდა უზრუნველყო უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ებ)დან შესაბამისი ნებართვა(ებ)ის/თანხმობა(ებ)ის მოპოვება და ელექტროენერჯის ლიცენზიანტთან შეთანხმება. ამასთანავე დამატებით აღნიშნა, რომ მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა ორჯერ იქნა გაზრდილი და განისაზღვრა 2026 წლის 01 ივნისამდე.

გიორგი კობიაშვილის განმარტებით, რიგი ვალდებულებებისა კომპანიის მხრიდან შესრულდა, თუმცა გამოვლინდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანოსთან დაკავშირებული რიგი



პრობლემური საკითხები, რაც ხელს უშლის ზოგიერთ საიჯარო ქონებამდე ელექტროენერჯის მიყვანას და შესაბამისად, მასზე დამტენის განთავსებას.

მომხსენებლის მიერ დაუსტადა, რომ ლიცენზიანტი ვერ იღებს თანხმობას ჩასანაცვლებელ ქონებამდე ელექტროენერჯის ქსელის მოწყობისათვის საჭირო როგორც მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე, ასევე გვირაბული მეთოდის გამოყენებაზე. პრობლემას წარმოადგენს ახლად რეაბილიტირებული ქუჩები და ტროტუარები - ლიცენზიანტი ვერ იღებს თანხმობას ქსელის მოწყობის მიზნით ტროტუარის ან/და ასფალტის საფარის დაზიანებაზე - მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში, ახლად რეაბილიტირებულ ქუჩაზე საგარანტიო პერიოდის მოქმედების გამო; ასევე პრობლემა შეიქმნა გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე სხვა კერძო პირებთან/სახელმწიფო უწყებებთან, რომლებიც არ იძლევიან თანხმობას დამტენამდე ელექტროენერჯის მიყვანის მიზნით მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოიჯარის მიერ არაერთი განცხადებით დაფიქსირდა მოთხოვნა ჩასანაცვლებელი ქონებების სარგებლობისთვის გადასახდელი საიჯარო ქირისგან გათავისუფლების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მოიჯარე არ ითხოვს ჩასანაცვლებელი (ნაკლიანი) ქონების გადაცემის გამო რაიმე სახის ზიანის ანაზღაურებას, ამასთან, ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი 6 თვის მანძილზე (შესაბამისი ნებართვების მოპოვებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა) მოიჯარის მიერ გადახდილი საიჯარო ქირა არ გაუქმდება. ხოლო აღნიშნული პერიოდის შემდგომ, ჩასანაცვლებელ (ნაკლიან) ქონებაზე გადახდილი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოიჯარეს ჩაეთვლება მომდევნო პერიოდ(ებ)ის საიჯარო ქირის ანგარიშში. ჩასანაცვლებელი ქონების სარგებლობისთვის დარიცხული საიჯარო ქირის (შესაბამისი წილობრივი ოდენობით) გადაუხდელობის შემთხვევაში, მოიჯარე თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან.

მომხსენებელმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში შედის ცვლილებები, კერძოდ, იცვლება ნაკლიანი საიჯარო ქონების ჩამონათვალი და წყდება სარგებლობის უფლება მოიჯარისთვის გადაცემულ ასეთ საიჯარო ქონებაზე, რის სანაცვლოდაც კომპანიას გადაეცემა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ალტერნატიული ქონებები, ხოლო ზოგიერთ საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით, რომელზეც წყდება სარგებლობის უფლება, თუმცა დღეის მდგომარეობით ამ ქონებების ჩანაცვლებისთვის არ არის განსაზღვრული ალტერნატიული ქონებები, გათვალისწინებულია მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა; ასევე, ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი 6 თვის შემდგომ, ჩასანაცვლებელ ქონებაზე გადახდილი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოიჯარეს ჩაეთვლება მომდევნო პერიოდ(ებ)ის საიჯარო ქირის ანგარიშში; ხოლო ჩასანაცვლებელი ქონების სარგებლობისთვის დარიცხული საიჯარო ქირის (შესაბამისი წილობრივი ოდენობით) გადაუხდელობის შემთხვევაში, მოიჯარე თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მეორე პუნქტის რედაქციული ცვლილების საჭიროებაზე, რაც გაზიარებული იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების შეტანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ და თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულების“ საფუძველზე დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ქართლიენერჯის“ გათავისუფლების საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

გიორგი კობიაშვილმა მოხსენების დასაწყისში აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ ხელშეკრულების (შემდგომში: ხელშეკრულება) საფუძველზე, მოიჯარეს 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცა 66 ერთეული უძრავი ქონება. ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს საიჯარო ქონებაზე (თითოეულ მიწის ნაკვეთზე) არანაკლებ 30 (ოცდაათი) კვტ. დადგმულ სიმძლავრეზე გათვლილი ელექტრომობილის დასამუხტი ჭკვიანი აპარატის განთავსება, მომხმარებლისათვის შესაბამისი სერვისის მიწოდების მიზნით.

მომხსენებლის მიერ აღინიშნა, რომ კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის: **ყოველწლიური საიჯარო ქირის 501 306.80 ლარის გადახდა**, თანაბარწილად ყოველ სამ თვეში ერთხელ პერიოდულობით; 2025 წლის 19 ივნისისა უნდა უზრუნველყო უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან შესაბამისი ნებართვ(ებ)ის/თანხმობ(ებ)ის მოპოვება და ელექტროენერჯის ლიცენზიანტთან შეთანხმება. ამასთანავე დამატებით აღნიშნა, რომ მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე **ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა ორჯერ იქნა გაზრდილი და განისაზღვრა 2026 წლის 01 ივნისამდე.**

მომხსენებლის განმარტებით, ვალდებულებების ნაწილი კომპანიის მხრიდან შესრულდა, თუმცა გამოვლინდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანოსთან დაკავშირებული რიგი პრობლემური საკითხები, რაც ხელს უშლის ზოგიერთ საიჯარო ქონებამდე ელექტროენერჯის მიყვანას და შესაბამისად, მასზე დამტენის განთავსებას. აღნიშნულის თაობაზე კომპანიას მიმართული აქვს ელექტროენერჯის ლიცენზიანტისათვის (სს „თელასი“) შესაბამისი განცხადებებით.

მომხსენებლის მიერ დაზუსტებულ იქნა, რომ რიგ შემთხვევაში:

- პრობლემას წარმოადგენს ახლად რეაბილიტირებული ქუჩები და ტროტუარები - ლიცენზიანტი ვერ იღებს თანხმობას ქსელის მოწყობის მიზნით ტროტუარის ან/და ასფალტის საფარის დაზიანებაზე - მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში, ახლად რეაბილიტირებულ ქუჩაზე საგარანტიო პერიოდის მოქმედების გამო;



- მიწის გათხრითი სამუშაოების ალტერნატივად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ ქსელის მონტაჟი გვირაბული მეთოდის გამოყენებით, თუმცა მოიჯარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული მეთოდით სამუშაოების წარმოება ზოგიერთ ქონებასთან მიმართებით შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი;
- პრობლემა შეიქმნა გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე სხვა კერძო პირებთან/სახელმწიფო უწყებებთან, რომლებიც არ იძლევიან თანხმობას დამტენამდე ელექტროენერჯის მიყვანის მიზნით მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენის მიერ განიმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოიჯარის მიერ არაერთი განცხადებით დაფიქსირდა მოთხოვნა ჩასანაცვლებელი ქონებების სარგებლობისთვის გადასახდელი საიჯარო ქირისგან გათავისუფლების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მოიჯარე არ ითხოვს ჩასანაცვლებელი (ნაკლიანი) ქონების გადაცემის გამო რაიმე სახის ზიანის ანაზღაურებას, ამასთან, ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი 6 თვის მანძილზე (შესაბამისი ნებართვების მოპოვებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა) მოიჯარის მიერ გადახდილი საიჯარო ქირა არ გაუქმდება. ხოლო აღნიშნული პერიოდის შემდგომ, ჩასანაცვლებელ (ნაკლიან) ქონებაზე გადახდილი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოიჯარეს ჩაეთვლება მომდევნო პერიოდ(ებ)ის საიჯარო ქირის ანგარიშში. ჩასანაცვლებელი ქონების სარგებლობისთვის დარიცხული საიჯარო ქირის (შესაბამისი წილობრივი ოდენობით) გადაუხდელობის შემთხვევაში, მოიჯარე თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან.

მომხსნებელმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში შედის ცვლილებები, კერძოდ, იცვლება ნაკლიანი საიჯარო ქონების ჩამონათვალი და წყდება სარგებლობის უფლება მოიჯარისთვის გადაცემულ ასეთ საიჯარო ქონებაზე, რის სანაცვლოდაც კომპანიას გადაეცემა წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ალტერნატიული ქონებები, ხოლო ზოგიერთ საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით, რომელზეც წყდება სარგებლობის უფლება, თუმცა დღეის მდგომარეობით ამ ქონებების ჩანაცვლებისთვის არ არის განსაზღვრული ალტერნატიული ქონებები, გათვალისწინებულია მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა; ასევე, ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი 6 თვის შემდგომ, ჩასანაცვლებელ ქონებაზე გადახდილი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოიჯარეს ჩაეთვლება მომდევნო პერიოდ(ებ)ის საიჯარო ქირის ანგარიშში; ხოლო ჩასანაცვლებელი ქონების სარგებლობისთვის დარიცხული საიჯარო ქირის (შესაბამისი წილობრივი ოდენობით) გადაუხდელობის შემთხვევაში, მოიჯარე თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაურსა და მეორე პუნქტში გასწორდეს რედაქციული ხასიათის შეცდომები, რაც გაზიარებული იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენელ პროექტს და მითითებული



რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნეის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეცხრე საკითხად **განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს “ბრბ სოლარს“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ და თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს “ბრბ სოლარს“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს “ბრბ სოლარის“ შორის პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულების“ საფუძველზე დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ბრბ სოლარის“ გათავისუფლების საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

მომხსენებლის მიერ განიმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს შპს “ბრბ სოლარს“ შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ ხელშეკრულების საფუძველზე, მოიჯარეს 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცა 66 ერთეული უძრავი ქონება. ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს საიჯარო ქონებაზე (თითოეულ მიწის ნაკვეთზე) არანაკლებ 30 (ოცდაათი) კვტ. დადგმულ სიმძლავრეზე გათვლილი ელექტრომობილის დასამუხტი ჭკვიანი აპარატის განთავსება, მომხმარებლისათვის შესაბამისი სერვისის მიწოდების მიზნით.

გიორგი კობიაშვილის მიერ აღინიშნა, რომ კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის: უზრუნველყო ყოველწლიური საიჯარო ქირის 521 594.18 ლარის გადახდა, თანაბარწილად ყოველ სამ თვეში ერთხელ პერიოდულობით; 2025 წლის 19 ივნისისა უნდა უზრუნველყო უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან შესაბამისი ნებართვ(ებ)ის/თანხმობ(ებ)ის მოპოვება და ელექტროენერჯის ლიცენზიანტთან შეთანხმება. ამასთანავე დამატებით აღნიშნა, რომ მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა იქნა გაზრდილი და განისაზღვრა **2026 წლის 01 მაისამდე**. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმება ითვალისწინებს **აღნიშნული ვადის დამატებით 1 (ერთი) თვით გაგრძელების შესაძლებლობას**, მოიჯარის დასაბუთებული მომართვის შემთხვევაში, სააგენტოს წერილობითი თანხმობით.

მომხსენებლის განმარტებით, ვალდებულებების ნაწილი კომპანიის მხრიდან შესრულდა, თუმცა გამოვლინდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანოსთან დაკავშირებული რიგი პრობლემური საკითხები, რაც ხელს უშლის ზოგიერთ საიჯარო ქონებამდე ელექტროენერჯის მიყვანას და შესაბამისად, მასზე დამტენის განთავსებას. აღნიშნულის თაობაზე კომპანიას მიმართული აქვს ელექტროენერჯის ლიცენზიანტისათვის (სს „თელასი“) შესაბამისი განცხადებებით.

მომხსენებლის მიერ დაზუსტებულ იქნა, რომ რიგ შემთხვევაში:

- პრობლემას წარმოადგენს ახლად რეაბილიტირებული ქუჩები და ტროტუარები - ლიცენზიანტი ვერ იღებს თანხმობას ქსელის მოწყობის მიზნით ტროტუარის ან/და ასფალტის საფარის დაზიანებაზე - მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში, ახლად რეაბილიტირებულ ქუჩაზე საგარანტიო პერიოდის მოქმედების გამო;



- მიწის გათხრითი სამუშაოების ალტერნატივად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ ქსელის მონტაჟი გვირაბული მეთოდის გამოყენებით, თუმცა მოიჯარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული მეთოდით სამუშაოების წარმოება ზოგიერთ ქონებასთან მიმართებით შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი;
- პრობლემა შეიქმნა გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე სხვა კერძო პირებთან/სახელმწიფო უწყებებთან, რომლებიც არ იძლევიან თანხმობას დამტენამდე ელექტროენერჯის მიყვანის მიზნით მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმოდგენის მიერ განიმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოიჯარის მიერ არაერთი განცხადებით დაფიქსირდა მოთხოვნა ჩასანაცვლებელი ქონებების სარგებლობისთვის გადასახდელი საიჯარო ქირისგან გათავისუფლების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მოიჯარე არ ითხოვს ჩასანაცვლებელი (ნაკლიანი) ქონების გადაცემის გამო რაიმე სახის ზიანის ანაზღაურებას, ამასთან, ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი 6 თვის მანძილზე (შესაბამისი ნებართვების მოპოვებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა) მოიჯარის მიერ გადახდილი საიჯარო ქირა არ გაუქმდება. ხოლო აღნიშნული პერიოდის შემდგომ, ჩასანაცვლებელ (ნაკლიან) ქონებაზე გადახდილი თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოიჯარეს ჩაეთვლება მომდევნო პერიოდ(ებ)ის საიჯარო ქირის ანგარიშში. ჩასანაცვლებელი ქონების სარგებლობისთვის დარიცხული საიჯარო ქირის (შესაბამისი წილობრივი ოდენობით) გადაუხდელობის შემთხვევაში, მოიჯარე თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან.

დასკვნის სახით მომხსენებლის მიერ განიმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის ხელშეკრულებაში და იცვლება დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად კომპანიის მიერ შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის ვადები. ასევე იცვლება ნაკლიანი საიჯარო ქონების ჩამონათვალი ცვლილების შესაბამისად, წყდება სარგებლობის უფლება მოიჯარისთვის გადაცემულ ზოგიერთ საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით, რის სანაცვლოდაც, შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში მხარეთა მიერ განისაზღვრება ალტერნატიული ქონებების ნუსხა და ამავე ვადაში და გათვალისწინებულია დამატებითი შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურის გამართულობაზე, რაც გაზიარებული იყო მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

10. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-10 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,



რომელიც ითვალისწინებს **ცვლილების შეტანას „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის განკარგულებაში.**

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 23.07.2025წ. განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.07.2025წ. განკარგულების საფუძველზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 30 ივლისის ბრძანებით, ა(ა)იპ „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციას“ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, **4 წლის ვადით** გადაეცა ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა **ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით,** არანაკლებ 719 913,00 (შვიდას ცხრამეტი ათას ცხრაას ცამეტი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების პირობით.

გიორგი კობიაშვილმა აღნიშნა, რომ უზუფრუქტუარი აღნიშნული ხელშეკრულებით კისრულობს შემდეგი სახის ვალდებულებებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში, სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე საფეხბურთო მოედნის საფარის მოწყობის, განათებისა და გარე შემოღობვის სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო სამუშაოების და ახალი გასახდელებისა და სველი წერტილების მოწყობის მიზნით განახორციელოს არანაკლებ 419913,00 (ოთხას ცხრამეტი ათას ცხრაას ცამეტი) ლარის ინვესტიცია.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) წლის ვადაში, სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე არსებული საფეხბურთო მოედნის და ტრიბუნების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის, არსებული გასახდელების და სველი წერტილების რეაბილიტაციის მიზნით განახორციელოს არანაკლებ 230000 (ორას ოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან არაუგვიანეს 18 (თვრამეტი) თვეში საფეხბურთო მოედანზე ახალ 500 ადამიანზე გათვლილი ტრიბუნის განთავსების მიზნით განახორციელოს არანაკლებ 70000 (სამოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია.
- ყოველთვიურად უსასყიდლოდ უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ღონისძიებების ჩატარების ფარგლებში 30 საათამდე ხანგრძლივობით თავისუფალი დროის გამოყოფას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

გიორგი კობიაშვილმა ისაუბრა იმ პრობლემებზე, რაც განმცხადებლის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 24 ნოემბრის წერილით დგინდება. კერძოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე განთავსებული შენობა იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, მისი აღდგენა/რეკონსტრუქცია არის შეუძლებელი და აღნიშნულ შენობაში რაიმე საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს საფრთხეს. ამასთან, ობიექტს არ აქვს საავარიო შესასვლელი, რაც დამატებითი დაბრკოლებაა საგანგებო სიტუაციის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნულის დასადასტურებლად უზუფრუქტუარის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა სიტუაციის



ამსახველი ფოტომასალა და ტერიტორიის უსაფრთხოდ გამოყენებისა და ფუნქციონირების მიზნით, არსებული შენობის დემონტაჟის განხორციელების საფუძველზე, მოთხოვნილ იქნა დადებითი პოზიციის გაცემა ახალი, მყარი შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სტადიონისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული კომპონენტები.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტოში 2026 წლის 23 იანვარს წარდგენილი განცხადებით, ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, უზუფრუქტუარის მიერ მოთხოვნილ იქნა სააგენტოს 30.07.2025 წ. ბრძანებაში ცვლილებების განხორციელება. ამასთან, მოთხოვნილი ცვლილებების საფუძველზე უქმდება ვალდებულების შესრულების შუალედური ვადები, არსებული საფეხბურთო მოედნისა და გასახდელების, სველი წერტილების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის ვალდებულებები

მომხსენებლის მიწურულს, გიორგი კობიაშვილის მიერ დამატებით განიმარტა, რომ უზუფრუქტუარი კისრულობს ვალდებულებას, არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა, ჯამურად არანაკლებ 719 913.00 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების პირობით, სარგებლობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მოაწყოს ახალი საფეხბურთო მოედანი, უზრუნველყოს განათებისა და გარე შემოდობვის სამუშაოების განხორციელება, მოაწყოს ახალი გასახდელები, სველი წერტილები და არანაკლებ 400 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა. მოთხოვნილი ცვლილებით ვალდებულების შესრულების ვადა იზრდება დაახლოებით 11 თვით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-11 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში **გელა მოლოდინისთვის; ლეილა წიკლაურისთვის; გოჩა ალბუთაშვილისთვის; დალი კოჩივარისთვის; კობა ლომიძისთვის; გიორგი მირიანაშვილისთვის და სოფიო სვანიძისთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, სიმბოლურ ფასად, **1 (ერთი) ლარად,** პრივატიზების გზით **გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირებმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს გლდანის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევიტ გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

➤ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნამალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის №IV სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირები **1994-2012 წლებიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის საუბნო შემოწმების აქტითა და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილით.



- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირებზე და მათ ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის. (გარდა კობა ლომიძის ოჯახის წევრისა).

მომხსენებელმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-12 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული: (ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა N18-ში მდებარე კომერციული ფართი N2-ის და ბინა N9- ის თემურ საკანდელიძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის მიერ განიმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდმა“ 2025 წლის 21 ნოემბერს წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს. აღნიშნული კორესპონდენციით დგინდება, რომ ფონდი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 11.11.2022წ. და 15.03.2023წ. განკარგულებების საფუძველზე, ახორციელებს ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქ. N18-ში მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების პროექტს. ფონდის მიმართვის საფუძველზე, დადგინდა, რომ პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებმა დააზიანა თემურ საკანდელიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები, რის გამოც ამ პირის მიერ მოთხოვნილი იქნა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩანაცვლება.

გიორგი კობიაშვილმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, „ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა N18-ის) მიმდებარედ რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 ნოემბრის განკარგულებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თემურ საკანდელიძეს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებათა ჩანაცვლების პროგრამაში ჩართვასა და ჩანაცვლებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების თაობაზე.

მომხსენებლის მიერ ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ თემურ საკანდელიძის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩაზე მდებარე 3 (სამი) ერთეული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, ასევე იმ პირობით, რომ



აღნიშნული 3 (სამი) ერთეული უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის მომენტისათვის, იქნება უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში და საპრივატიზებო საფასური თითოეულ უძრავ ქონებაზე თემურ საკანდელიძის მიერ გადახდილი იქნება ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მოხსენების მიწურულს გიორგი კობიაშვილმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 ნოემბრის განკარგულების აღსრულების მიზნით, მიზანშეწონილია თემურ საკანდელიძეს საკუთრებაში გადაეცეს მოთხოვნილი ქონება. ამასთან, საპრივატიზებო პირობად განისაზღვრება ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩაზე მდებარე 3 (სამი) ერთეული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა და კალოუზნის ქ. N18-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით თემურ საკანდელიძისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ნინო ვარდოსანიძემ რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს რედაქციული ხასიათის ხარვეზები, რაც გაზიარებული იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მე-13 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში, პირველ სართულზე არსებული 53.57 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე **ნაზი გვარამიანისთვის** საკუთრებაში პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, **დაინტერესებული პირი 2005-2008 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე ოჯახთან ერთად.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის საუბნო შემოწმების აქტითა და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილით;



- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-14 საკითხად **განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გულდამაყრის შესახვევი N5ა-ში პირველ სართულზე არსებული **61.08 კვ.მ** უძრავი ქონების მოქალაქე ნანა კირკიტაძისთვის პირდაპირი **განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით მიმართა ნაძალადევის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის VIII სამმართველოს ინფორმაციით, **დაინტერესებული პირი 1999 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე ოჯახთან ერთად.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის საუბნო შემოწმების აქტითა და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილით;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, **დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მომხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გადაწყვეტეს:



განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 15-ე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან არსებული **2 კვ.მ** მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ტიერა ჯგუფისთვის“, სარგებლობის უფლებით, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით** იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გიორგი კობიაშვილმა მოხსენების დასაწყისში ისაუბრა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, **იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **2025 წლის 9 დეკემბრის** დასკვნის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა განისაზღვრა **480 (ოთხას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.**

გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის მოქმედების ვადა - 2026 წლის 24 ნოემბრამდე ვადით;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური -480 (ოთხას ოთხმოცი) ლარი.**

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში განისაზღვროს სარგებლობით გადაცემის მიზანი, ასევე ისაუბრა მესამე პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული



რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 16-ე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით კახაბერ გზირიშვილისთვის **ღია კაფეს მოწყობის მიზნით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციები ემთხვევა და ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ შემთხვევაში, თუ განთავსებული იქნება **მხოლოდ მსუბუქი მაგიდისა და სკამები, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტებისა და სტაციონარული ქოლგების გარეშე.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **2025 წლის 9 დეკემბრის** დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა განისაზღვრა **10 500 (ათიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.**

მომხსენებელმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა - 5 (ხუთი) წლის ვადით;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური 10 500 (ათიათას ხუთასი) ლარი.**

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში განისაზღვროს სარგებლობით გადაცემის მიზანი, ასევე ისაუბრა მესამე პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



17. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 17-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, მიცკვეიჩის ქუჩა N3-ში არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ნინო ბალაშვილისთვის სარგებლობის უფლებით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის მიერ განიმარტა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციები ემთხვევა და ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, თუ დაცული იქნება „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 9 დეკემბრის დასკვნაზე, რომლის იხედვითაც, მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა განისაზღვრა 1152 (ათას ას ორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 (ხუთი) წლის ვადით;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური -1152 (ათას ას ორმოცდათორმეტი) ლარი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში განისაზღვროს სარგებლობით გადაცემის მიზანი, ასევე ისაუბრა მესამე პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 18-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, “ქალაქ თბილისში, ჭოველიძის ქუჩა (ყოფილი ბელინსკი) N19-



ის მიმდებარედ 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ლევან ჩერქეზიშვილისთვის სარგებლობის უფლებით, **კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გიორგი კობიაშვილმა ისაუბრა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, **იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 22 დეკემბრის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა განისაზღვრა **144 (ას ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.**

გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს **5 (ხუთი) წლის ვადით.**
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - **144 (ას ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.**

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 19-ე საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა N5-ის მიმდებარედ არსებული **8 კვ.მ მიწის** ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სავარასთვის“ სარგებლობის უფლებით, **ღია კაფეს ფუნქციონირების მიზნით,** იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა პოზიციები თანხვედრაშია და ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, **იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება,** იმ პირობით თუ დაცული იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.



მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 3 დეკემბრის დასკვნის შესახებ, რომლის იხედვითაც, მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა განისაზღვრა **920 (ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.**

მომხსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის მოქმედების ვადა - განისაზღვროს 2028 წლის 25 აგვისტომდე ვადით;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 920 (ათას ცხრაას ოცი) ლარი.**

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში განისაზღვროს სარგებლობით გადაცემის მიზანი, ასევე ისაუბრა მესამე პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. გიორგი კობიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 20-ე საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N29-ის მიმდებარე არსებული **4 კვ.მ** მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, **მარინე ჯიქიძისთვის** სარგებლობის უფლებით, იჯარის კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა პოზიციები თანხვედრაშია და ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, **იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება,** იმ პირობით, თუ დაცული იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 34-ე მუხლის მოთხოვნები.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 3 დეკემბრის დასკვნის შესახებ, რომლის იხედვითაც, მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა განისაზღვრა **576 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.**



მოსენების მიწურულს, გიორგი კობიაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესატანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - განისაზღვროს 5 (წლის) წლის ვადით;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 576 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში განისაზღვროს სარგებლობით გადაცემის მიზანი, ასევე ისაუბრა მესამე პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 21-ე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობას ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნიკო კეცხოველის N58-ში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით.

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 8 დეკემბრის განცხადებით მიმართა თენგიზი ესიავამ და მოითხოვა ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ნიკო კეცხოველის N58-ში არსებული, **16 073 კვ.მ** ფართობის მიწის ნაკვეთის კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარება.

მომხენებლის მიერ ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მიხედვით, დედაქალაქის ქალაქგანვითარების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, და განაშენიანების რეგულირების წესების მესამე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, **განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება სავალდებულოა, როდესაც ხორციელდება 7000 მ² (0.7 ჰა) და მეტი ფართობის მქონე ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენება;**



მომხსენებლის მიერ ყურადღება იქნა გამახვილებული იმ ფაქტორზე, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გაითვალისწინა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების დროულად დაკმაყოფილების მნიშვნელობა, ასევე, ის გარემოებები, რომ ტერიტორია ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით აკმაყოფილებს განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილ მიზნებს, იგი უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ნინო ზაგაშვილის მიერ ასევე განიმარტა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით, იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მათ შორის, გამწვანებული სივრცეებით.

ამასთანავე, მომხსენებელმა ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 26 მარტის განკარგულებაზე, რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ნიკო კეცხოველის №58-ში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარება დასაშვებად იქნა ცნობილი, რაზეც თანხმობა იქნა გაცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N154 განკარგულებით.

მომხსენების მიწურულს კი ნინო ზაგაშვილმა განმარტა, რომ ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში რეგისტრირებული, 2025 წლის 8 დეკემბრის განცხადებით დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ იქნა ახალი საპროექტო გადაწყვეტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 15 იანვრის განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ნიკო კეცხოველის №58-ში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის დასაშვებობის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 26 მარტის განკარგულება

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურსა და პრეამბულაში არსებულ რედაქციული ხასიათის შეცდომებზე, ასევე რედაქციული ხასიათის რეკომენდაცია გასცა განკარგულების მე-5 პუნქტთან მიმართებით, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 22 - ე საკითხად განსაზღვრული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,



რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში მდებარე 9 354 კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.2-დან კ-2=4.4-მდე, რაც გულისხმობს საცხოვრებელ ბლოკზე 1 (ერთი) და საოფისე ბლოკზე 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 27 (ოცდაშვიდი) და 15 (თხუთმეტი) სართულიანი შენობების განთავსებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ზაგაშვილმა აღნიშნა, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).**

ასევე, მომხსენებლის მიერ იქნა აღნიშნული, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 ნოემბრის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2021 წლის 19 ნოემბრის განკარგულებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=4.2).** ამასთანავე, საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის პირველი მაისის ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 აგვისტოს **ბრძანებით** გაცემულია ახალი მშენებლობის ნებართვა.

ნინო ზაგაშვილმა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის N588 განკარგულებაზე, რომლის მიხედვით, გაცემულია თანხმობა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) 4.2-დან 4.4-მდე გადამეტების თაობაზე, **თუმცა დადგენილ ვადაში არ განხორციელებულა შესაბამისი ფასის გადახდა, რამაც გამოიწვია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმება.**

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის შესახებ, რომლის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2025 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 28 698 072 (ოცდარვა მილიონ ექვსას ოთხმოცდათვრამეტი ათას სამოცდათორმეტი) ლარს.** მომხსენებელმა დამატებით ასევე ისაუბრა შეეხო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2026 წლის 8 იანვრის წერილის შესახებ, რომლის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.2-დან 4.4-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1 366 574.86 (ერთი მილიონ სამას სამოცდაექვსი ათას ხუთას სამოცდათოთხმეტი და ოთხმოცდაექვსი მესამედი) ლარს.**



მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება **კ-2=4.2-დან კ-2=4.4-მდე**;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - **1 366 574.86 (ერთი მილიონ სამას სამოცდაექვსი ათას ხუთას სამოცდაათობმეტი და ოთხმოცდაექვსი მეთასედი)** ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

23. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 23-ე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში მდებარე 6988 კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.



მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.5-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე, „ა“ ბლოკზე - 6 (ექვსი) და „ბ“ ბლოკზე - 4 (ოთხი) მიწისზედა სართულების დამატებასა და 18 (თვრამეტი) სართულიანი („ა“ ბლოკი) და 16 (თექვსმეტი) სართულიანი („ბ“ ბლოკი) შენობების განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება **საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)**.

მომხსენებლის მიერ განიმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 2 ოქტომბრის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის განკარგულებით დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=2.5). თუმცა დაინტერესებული პირის მიერ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასი დადგენილ ვადაში არ გადახდილა, რამაც გამოიწვია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმება.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის შესახებ, რომლის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება**, 2025 წლის 8 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს **6 226 308 (ექვსი მილიონ ორას ოცდაორიათას სამას რვა) ლარს**. **მომხსენებელმა დამატებით ასევე ისაუბრა** შეეხო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2026 წლის 8 იანვრის წერილის შესახებ, რომლის თანახმად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.5-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 2 490 523.20 (ორი მილიონ ოთხას ოთხმოცდაათი ათას ხუთას ოცდასამი და ოცი მეასედი) ლარს**.

მომხსენებლის მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება **კ-2=2.5-დან კ-2=3.5-მდე**;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი



ფასის - **2 490 523.20 (ორი მილიონ ოთხას ოთხმოცდაათი ათას ხუთას ოცდასამი და ოცი მეასედი)** ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;

- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულისა და ამავე განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 24-ე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩაზე მდებარე **659 კვ.მ** მიწის ნაკვეთთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.1-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებას და 6 (ექვსი) სართულიანი შენობის განთავსებას.** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება **საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).**



ნინო ბაგაშვილის მიერ დამატებით იქნა აღნიშნული, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 26 სექტემბრის ბრძანებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის პარამეტრებით (კ-2=1.5).

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის შესახებ, რომლის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2025 წლის 13 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 530 742 (ხუთას ოცდაათი ათას შვიდას ორი) ლარს.** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 16 დეკემბრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის **კ-2=1.5-დან კ-2=2.1-მდე** გადამეტების ფასი შეადგენს **212,296.80 (ორას თორმეტი ათას ოთხმოცდათექვსმეტი და ოთხმოცი მესამედი) ლარს.**

მომხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება **კ-კ-2=1.5-დან კ-2=2.1-მდე**;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის **212,296.80 (ორას თორმეტი ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი და ოთხმოცი მესამედი) ლარის** გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულისა და ამავე განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული



რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნეის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით 25-ე საკითხად **განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №25-ში მდებარე 6 043 კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 აგვისტოს განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №25-ში მდებარე 6 043 კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

მოხსენების დასაწყისში, ნინო ზაგაშვილის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.1-მდე, რაც გულისხმობს I ბლოკზე 4 (ოთხი) მიწისზედა სართულის დამატებას**. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

საკითხის წარმდგენის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)**.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 25 თებერვლის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური შენობის (II და III ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. **ნინო ზაგაშვილმა ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას**, რომ ცვლილების ფარგლებში I ბლოკზე ხდება 4 (ოთხი) მიწისზედა სართულის დამატება, ხოლო II და III ბლოკებზე სართულების დამატება აღარ იგეგმება.

ნინო ზაგაშვილის მიერ დამატებით იქნა აღნიშნული, რომ 2025 წლის 29 დეკემბრის განცხადებით, დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა №25-ში მდებარე 6 043 კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიების სახით გამოყენებული მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებით (კ-2=5.1) განპირობებული მოცულობის (სართულიანობის) ცვლილება და კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრული შესაბამისი ფასის გადახდის ვადის განსაზღვრა, წინამდებარე განკარგულებით დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან**. დაინტერესებული პირის მიერ ასევე აღნიშნულია, რომ ცვლილების ფარგლებში I



ბლოკზე ხდება 4 (ოთხი) მიწისზედა სართულის დამატება, ხოლო II და III ბლოკებზე სართულების დამატება აღარ იგეგმება (კოეფიციენტის მაჩვენებელი რჩება უცვლელი).

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის შესახებ, რომლის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2025 წლის 23 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 18 558 053 (თვრამეტი მილიონ ხუთას ორმოცდათვრამეტი ათას ორმოცდაცამეტი) ლარს.** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 14 აგვისტოს წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის კ-2=2.5-დან კ-2=4.4-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 180 603.36 (ას ოთხმოცი ათას ექვსას სამი და ოცდათექვსმეტი მეთასედი) ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 17 სექტემბრის წერილის თანახმად, კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.1-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 2 017 179.68 (ორი მილიონ ჩვიდმეტი ათას ას სამოცდაცხრამეტი და სამოცდარვა მეთასედი) ლარს.

ნინო ზაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.1-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლესა და სართულიანობასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 2 017 179.68 (ორი მილიონ ჩვიდმეტი ათას ას სამოცდაცხრამეტი და სამოცდარვა მეთასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების №300773297 სახაზინო კოდზე.
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა უნდა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულისა და ამავე განკარგულების პროექტის მე-7 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 26-ე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარძლის ქუჩის მიმდებარედ არსებულ 2146 კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მოხსენების დასაწყისში, ნინო ზაგაშვილის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **2025 წლის 28 ოქტომბრის განკარგულებაში ცვლილების შეტანას**, კერძოდ, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის გადამეტებული კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის ცვლილება **კ-2=3.2-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 2 (ორი) სართულის დამატებასა და 10 (ათი) მიწისზედა სართულიანი შენობის განთავსებას**. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ზაგაშვილის მიერ დამატებით იქნა აღნიშნული, რომ „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარძლის ქუჩის მიმდებარედ არსებულ 2146კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის განკარგულების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის კ-2=2.4-დან კ-2=3.2-მდე გადამეტება გულისხმობდა არსებულ მოცულობაზე 3 (სამი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 11 (თერთმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის 2025 წლის 26 დეკემბრის წერილის თანახმად, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების განმსაზღვრელ 300773297 (შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის) სახაზინო კოდზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის განკარგულებებით განსაზღვრული **699,988.00 (ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრას ოთხმოცდარვა) ლარის ჩარიცხვა არ ფიქსირდება**. ხოლო წარდგენილი მოთხოვნის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის განკარგულებაში შეტანილ იქნა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 22 იანვრის განკარგულებით.



მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის შესახებ, რომლის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2025 წლის 23 სექტემბრის** მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს **2,099,994.00 (ორი მილიონ ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარს.** ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის **2026 წლის 16 იანვრის** წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის **2.4-დან 3.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 524,998.50 (ხუთას ოცდაოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი და ორმოცდაათი მესამედი) ლარს.**

ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება **კ-2=2.4-დან კ-2=3.0-მდე;**
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის **524,998.50 (ხუთას ოცდაოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი და ორმოცდაათი მესამედი) ლარის** გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;

აზრი გამოთქვს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულისა და ამავე განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



27. ნინო ზაგაშვილი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 27-ე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ონიანის ქუჩა, №4-ში არსებულ 1242 კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა ისაუბრა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებაზე, რომლის მიხედვითაც, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=5.0-მდე**, რაც **გულისხმობს 3 (სამი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 12 (თორმეტი) სართულიანი შენობის განთავსებას**. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ნინო ზაგაშვილის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)**.

ასევე, როგორც მომხსენებლის მიერ აღინიშნა, საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის **2024 წლის 9 იანვრის ბრძანებით (ცვლილება განხორციელდა 28.07.2025)** ბრძანებით) გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის **(80%)**-ის განთავსების მიზნით. ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის **სამსახურის 2024 წლის 6 მარტის** ბრძანებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის დადგენილია მიწის ნაკვეთის **სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=3.5)**.

ნინო ზაგაშვილი ასევე **ისაუბრა** სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის შესახებ, რომლის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო **ღირებულება, 2025 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით**, შეადგენს **2 837 970 (ორი მილიონ რვაასოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას სამოცდაათი) ლარს**. ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის **2026 წლის 16 იანვრის** წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე **კ-2 კოეფიციენტის კ-2=3.5-დან კ-2=5.0-მდე** გადამეტების ფასი შეადგენს **1 216 272.86 (ერთი მილიონ ორას თექვსმეტი ათას ორას სამოცდათორმეტი და ოთხმოცდაექვსი მეასედი) ლარს**.

მომხსენებელმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- **ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=5.0-მდე;**



- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - **1 216 272.86 (ერთი მილიონ ორას თექვსმეტი ათას ორას სამოცდათორმეტი და ოთხმოცდაექვსი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;**
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულისა და ამავე განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით 28-ე საკითხად განსაზღვრული**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N113-ში მდებარე 14 123 კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მოხსენების დასაწყისში, ნინო ბაგაშვილის განმარტებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **კ-2=3.1-დან კ-2=3.8-მდე, რაც გულისხმობს 27 (ოცდაშვიდი) და 30 (ოცდაათ) მიწისზედა სართულიანი შენობების განთავსებას (შეთანხმებულ მოცულობაზე „ა“ ბლოკზე 5 (ხუთი) სართულის დამატება და „ბ“ ბლოკზე 3 (სამი) სართულის დამატება).** ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.



მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) და სატყეო ზონა**, ხოლო გამწვანებული ტერიტორიების რუკით, საპროექტო მიწის ნაკვეთის ნაწილზე ვრცელდება ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება და სატყეო ზონა.

ასევე, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის განკარგულებით დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის შესახებ, რომლის მიხედვით, **საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2025 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, შეადგენს 13 515 711 (ცამეტი მილიონ ხუთას თხუთმეტი ათას შვიდას თერთმეტი) ლარს**. ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის **2026 წლის 26 იანვრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის კ2=3.1-დან კ-2=3.8-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 3 051 934.75 (სამი მილიონ ორმოცდათერთმეტი ათას ცხრაას ოცდაათობმეტი და სამოცდათხუთმეტი მესედი) ლარს**.

მომხსენების მიწურულს, ნინო ზაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

- ხდება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება **კ2=3.1-დან კ-2=3.8-მდე**;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის **3 051 934.75 (სამი მილიონ ორმოცდათერთმეტი ათას ცხრაას ოცდაათობმეტი და სამოცდათხუთმეტი მესედი) ლარის** გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე;
- დაინტერესებულმა პირმა ზემოაღნიშნული თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა.
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;

აზრი გამოთქვას:



ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულისა და ამავე განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას: მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37, ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, შემდეგი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე:

ა) „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: N01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 დეკემბრის N23.2153.2405 განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირებს დაემატოს დავით გოგიჩაიშვილი;

ბ) მიეცეს კომპენსაცია დავით გოგიჩაიშვილს - 75000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში - „კომისია“) 2026 წლის 27 იანვრის სხდომაზე (ოქმი N1) განიხილა მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37, ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების საკითხი.

როგორც ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დაზარალებული პირის მიმართ დგინდება შემდეგი:

- დავით გოგიჩაიშვილმა 2019 წელს ბესიკ თხელიძეს გადაუფორმა ჭავჭავაძეზე მდებარე თავისი კუთვნილი ბინა (80 000 აშშ დოლარად ღირებული) იმ პირობით, რომ საირმის ქუჩა N6-ში უნდა მიეღო 85.00 კვ.მ ფართი (დაუბრუნდა 5 000 აშშ დოლარი, ითხოვს 75 000 აშშ



დოლარს). დავით გოგიჩაიშვილი დაზარალებულად ცნობილია 75000 აშშ დოლარის ნაწილში;

- რამდენადაც, დავით გოგიჩაიშვილის მიერ თავდაპირველი განცხადებით (04.10.2023წ.) მოთხოვნილი იყო ჭავჭავაძეზე მდებარე, მის მიერ ბესიკ თხელიძისთვის საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ფართის უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში დაბრუნება, დავით გოგიჩაიშვილი გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 დეკემბრის N23.2153.2405 განკარგულების დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია);
- 2025 წლის 10 ნოემბერს წარმოდგენილი წერილობითი განცხადებით დავით გოგიჩაიშვილი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაუბრუნდება თბილისის პროკურატურის მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებით განსაზღვრული თანხა - 75 000 აშშ დოლარის ოდენობით, მის მიმართ თბილისის პროკურატურის მიერ დადასტურებული შესასრულებელი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად და აღნიშნულ საკითხთან, ან მასთან დაკავშირებულ და მისგან გამომდინარე ნებისმიერი სახის მოთხოვნასა თუ უფლებაზე არ აქვს და არც მომავალში, ექნება პრეტენზია/მოთხოვნის უფლება შპს „ათორის“, მასთან დაკავშირებული/აფილირებული კომპანიებისა და/ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და კომისიის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წინამდებარე საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების რეკომენდაციაზე.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა უფრაქციო წევრმა გიორგი გვენეტაძემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე

სხდომის მდივანი

თეონა ხვედელიძე